ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №1006795

ნომერი: AR1172897

თარიღი : 25.10.2013

გაცემის თარიღი : 20.11.2013

გაცნობის თარიღი : 20.11.2013

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , მექანიზაციის ქუჩა N1 , (ნაკვეთი N1/95) ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- რევაზ სვანიძე პ/ნ 01025011374
- თბილისი დიდი დიღომი დ.თავდადებულის ქ. N 16 ბ. 30

ნომენკლატურა :

- სამართლებრივი საკითხები
- ადმინისტრაციულ - სამართლებრივი აქტის ძალადაკარგულად გამოცხადება

ვბრძანებ

ქ. თბილისის მერიის სსიპ – ქ. თბილისის არქიტექტურის სამსახურის 29.10.2010 წ. #01/2439 ბრძანების ძალადაკარგულად გამოცხადების შესახებ

ქალაქ თბილისის მერიის სსიპ – ქალაქ თბილისის არქიტექტურის სამსახურს 25/10/2013 წ. #AR1172897

განცხადებით მომართა შ.პ.ს. „ცისკარი 2008“–ის დირექტორმა რევაზ სვანიძემ და მოითხოვა ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქალაქ თბილისის არქიტექტურის სამსახურის 29.10.2010 წ. #01/2439 ბრძანებისა და #ნ/2666–1 სანებართვო მოწმობის ძალადაკარგულად გამოცხადება.

სამსახურმა საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად შეისწავლა საქმისთვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ ქალაქ თბილისის მერიის სსიპ – ქალაქ თბილისის არქიტექტურის სამსახურის მიერ 29.10.2010 წ. #01/2439 ბრძანებით ქ. თბილისში, მექანიზაციის ქ. #1–ში, შ.პ.ს. „ცისკარი 2008“–ის კუთვნილ მიწის ნაკვეთზე (ს/კ 01.12.12.001.095) შეთანხმდა საწყობის, ავტოსამრეცხაოს და ავტოტექმომსახურების ობიექტის არქიტექტურული პროექტი და გაიცა მშენებლობის ნებართვა (სანებართვო მოწმობა #ნ/2666–1), რომლის მოქმედების ვადა განისაზღვრა 2010 წლის 10 ნოემბრიდან 2012 წლის 10 მაისის ჩათვლით.

განმცხადებელის მიერ წარმოდგენილი ფოტოსურათებით ირკვევა, რომ ზემოაღნიშნული ინდივიდუალური ადმინისტრაციული აქტის საფუძველზე მიწის ნაკვეთზე არ არის ნაწარმოები სამშენებლო სამუშაოები.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 61–ე მუხლის თანახმად, ადმინისტრაციულ–სამართლებრივი აქტის ძალადაკარგულად გამოცხადების უფლება აქვს ადმინისტრაციულ–სამართლებრივი აქტის გამომცემ ორგანოს.

"ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ" საქართველოს კანონის 34–ე მუხლის მე–7 პუნქტის "ა" ქვეპუნქტის თანახმად, ნებართვის გაცემის შესახებ ძალადაკარგულად გამოცხადების საფუძველი საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 61–ე მუხლში მითითებული საფუძვლების გარდა შეიძლება იყოს ნებართვის მფლობელის მოთხოვნა.

ყოველივე აღნიშნულის გათვალისწინებით და ვინაიდან დამკვეთს აღარ გააჩნია სამსახურის მიერ გაცემული ინდივიდუალური ადმინისტრაციულ–სამართლებრივი აქტის საფუძველზე მიწის ნაკვეთის სამშენებლო განვითარების ინტერესი და ამასთან, მიწის ნაკვეთზე არ არის ნაწარმოები სამშენებლო სამუშაოები, სამსახურმა მიზანშეწონილად ჩათვალა ძალადაკარგულად გამოაცხადოს 29.10.2010 წ. #01/2439 ბრძანება არქიტექტურული პროექტის შეთანხმების ნაწილში. აღნიშნული ინდივიდუალურ–ადმინისტრაციული აქტი მშენებლობის ნებართვის მოქმედების ვადის გასვლის გამო, მშენებლობის ნებართვის გაცემის ნაწილში წარმოადგენს ძალადაკარგულ აქტს.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 61–ე მუხლის, "ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ" საქართველოს კანონის 34–ე მუხლის მე–7 პუნქტის "ა" ქვეპუნქტისა შესაბამისად,

ვბრძანებ:

1. ძალადაკარგულად გამოცხადდეს ქ. თბილისის მერიის სსიპ – ქ. თბილისის არქიტექტურის სამსახურის 29.10.2010 წ. #01/2439 ბრძანება პროექტის შეთანხმების ნაწილში (მშენებლობის სანებართვო მოწმობა ნ/2666-1);
2. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მერიაში (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა #7) მისი ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.